სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 1 23 0001446123

26/10/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში
სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად საუნივერსიტეტო
საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის 10 მარტს დამტკიცებული (ოქმი N3) „სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსების'' შესახებ დებულების მე-5 და მე-6 მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 ოქტომბრის N23 ოქმის N2 საოქმო დადგენილების და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ნუნუ გელდიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (25/10/2023; N1435797) საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით გამოცხადდეს კონკურსი აგრარული, განათლების, ჰუმანიტრული მეცნიერებების და კავკასიის შემსწავლელი კვლევების მიმართულებებისათვის;

2. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვოს 2023 წლის 30 ოქტომბრიდან 2023 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით;

3.საკონკურსო განაცხადის შემოტანისას კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია „სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ'' დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად;

4. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, დალუქული კონვერტით (გარდა განცხადებისა), ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა;

5.სამეცნიერო კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდეს 2023 წლის 13 ნოემბრიდან 2023 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ'' დებულების შესაბამისად;
6.აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებელი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, კერძოდ, 2023 წლის 15 -17 ნოემბერს, მოხდეს შერჩეული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების ხელმძღვანელების პრეზენტაციების მოსმენა.
7.პრეზენტაციების მოსმენის შემდეგ შერჩეული და მოწონებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტები გადაეცეთ რექტორის ბრძანებით მოწვეულ დარგობრივ ექსპერტებს შესაფასებლად, 2023 წლის 20 ნოემბრიდან 24 ნოემბრის ჩათვლით;
8.სამეცნიერო - კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის უნივერსიტეტის საკუთარი სახსრებიდან გამოყოფილი ზღვრული თანხის ოდენობა თითოეული მიმართულებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

- აგრარული მეცნიერებები - 65000 (სამოცდახუთი ათასი) ლარი;
- განათლების მეცნიერებები -20000 (ოცი ათასი) ლარი;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები - 20000 (ოცი ათასი) ლარი;
- კავკასიის შემსწავლელი კვლევები - 20000 (ოცი ათასი)ლარი.

9.დასაფინანსებლად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს არაუგვიანეს 2023 წლის 29 ნოემბრისა;
10.შერჩეულ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელსა და უნივერსიტეტს შორის საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდეს 2023 წლის 04 დეკემბრიდან 2023 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით;
11.ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ ნუნუ გელდიაშვილს;
12.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
13.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
14.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა